



საჯარო სამართლის იურიდიული პირი

მინერალური რესურსების ეროვნული
სააგენტო



KA020131224296323

თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ: 0 32 2 95 00 30

ბრძანება № 62/ს

20 / იანვარი / 2023 წ.

ფ/პ რამიზ ალიევზე (პ/ნ 25001013787) გაცემული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების N 10000323 ლიცენზიის გაუქმების თაობაზე

ფ/პ რამიზ ალიევზე (პ/ნ 25001013787) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2018 წლის 31 ოქტომბრის N 1578/ს ბრძანების საფუძველზე გაცემულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების N10000323 ლიცენზია (25 წლის ვადით), ლაგოდების მუნიციპალიტეტში, სოფ. კაბალის ტერიტორიაზე მინისქვეშა მტკნარი წყლის (სამეწარმეო დანიშნულებით) მოპოვების მიზნით.

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს (შემდგომში სააგენტო) ლიცენზირების დეპარტამენტის უფროსის 2022 წლის 20 დეკემბრის N2578 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი ინფორმაციით დასტურდება ფ/პ რამიზ ალიევის გარდაცვალების ფაქტი.

სააგენტოს 2020 წლის 16 ივნისის N 22/3622 კორესპონდენციით სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია ფ/პ რამიზ ალიევის გარდაცვალების ფაქტის დადასტურებასთან დაკავშირებით. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2020 წლის 19 ივნისის N01/101261 წერილით, სააგენტოს ეცნობა, რომ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში ფიქსირდება რამიზ ალიევის (პ/ნ 25001013787) სახელზე, 2019 წლის 07 მაისს რეგისტრირებული N34197000192 გარდაცვალების აქტის ჩანაწერი.

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის, მე-3 მუხლის „ა.ა“ პუნქტით გათვალისწინებულია სარგებლობის ლიცენზიის მემკვიდრეობით გადაცემის შესაძლებლობა. სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს მიერ, ჩატარებულ იქნა ადმინისტრაციული წარმოება, ფ/პ რამიზ ალიევის მემკვიდრის დადგენის მიზნით.

საქართველოს ნოტარიუსთა პალატის 2021 წლის 27 აპრილის N16/4823 წერილით სააგენტოს ეცნობა, რომ ერთიან ელექტრონულ სამემკვიდრეო რეესტრში, 2019 წლის 2 მაისს გარდაცვლილი რამიზ ალიევის სახელზე ფიქსირდება სამკვიდრო მონუმბის გაცემა კანონისმიერი მემკვიდრე - სურაია ალიევაზე (პ/ნ 25001003622) მის. : ლაგოდები ს. ყარაჯალა.

სააგენტოს 2021 წლის 13 ოქტომბრის N 22/7165 და 2022 წლის 17 ნოემბრის N22/8902 წერილებით რამიზ ალიევის მემკვიდრეს - სურაია ალიევას განემარტა, რომ მას აქვს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის, მემკვიდრეობის გზით მიღების უფლება და ამასთან, მას განესაზღვრა 10 სამუშაო დღე, სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოში გამოცხადებისა და ლიცენზიასთან დაკავშირებული მის ხელთ არსებული დოკუმენტაციის წარმოსადგენად.

გემოაღნიშნული წერილები გაგზავნილ იქნა ნოტარიუსთა პალატის მიერ წარმოდგენილ მისამართზე, თუმცა კორესპონდენციის ჩაბარება ვერ განხორციელდა. სურაია ალიევას სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მემკვიდრეობის გზით მიღების მოთხოვნით, დღეის მდგომარეობითაც, არ მოუმართავს სააგენტოსთვის.

ყოველივე გემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იკვეთება, რომ სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს მიერ, გადადგმულ იქნა ყველა ქმედითი ნაბიჯი, რამიზ ალიევზე გაცემული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მემკვიდრეობის გზით გადაცემის მიზნით, თუმცა კონკრეტული შედეგი არ

დამდგარა. ლიცენზიის ამგვარ მოცემულობაში არსებობის პირობებში ვერ იქნება უზრუნველყოფილი წიაღისეულით რაციონალური სარგებლობა.


სააგენტო ვერ განახორციელებს სალიცენზიო პირობების შესრულების კონტროლს. შესაბამისად, ცალსახაა, რომ სახეზეა ლიცენზიის გაუქმების გადაწყვეტილების ფაქტობრივი საფუძვლები.

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-6 პუნქტის, „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს N136 დადგენილებით დამტკიცებული დებულების, 7⁵ მუხლის 1² პუნქტის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2018 წლის 04 იანვრის N1-1/2 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს დებულების მე-4 მუხლის „ვ“ პუნქტის, სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს ლიცენზირების დეპარტამენტის უფროსის 2022 წლის 20 დეკემბრის N2578 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2018 წლის 31 ოქტომბრის N 1578/ს ბრძანება;
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს (გაუქმდეს) ფ/პ რამიზ ალიევზე (პ/ნ 25001013787) გაცემული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების N 10000323 ლიცენზია, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში, სოფ. კაბალის ტერიტორიაზე მიწისქვეშა მტკნარი წყლის (სამეწარმეო დანიშნულებით) მოპოვების მიზნით.
3. დაევალოს სააგენტოს ლიცენზირების დეპარტამენტს ლიცენზიის გაუქმების შესახებ მონაცემები დადგენილი წესით შეიტანოს უწყებრივ სალიცენზიო რეესტრში;
4. დაევალოს ადმინისტრაციულ სამსახურს წინამდებარე ბრძანების სააგენტოს ვებგვერდზე გამოქვეყნება;
5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. N2).

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს უფროსი

ხელმოწერილია/
შტამგადასმულია
ელექტრონულად 

ანდრო ასლანიშვილი